ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 11 11 2016 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 304-ბ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

„2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ“, აგრეთვე „სტუდენტებისთვის, რომლებიც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში, გათავისუფლებულები იყვნენ სწავლის საფასურის გადახდისგან, მაგრამ 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, 2016 -2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ“ რექტორის 2016 წლის 30 სექტემბრის N374-ს და N375-ს ბრძანებებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პაატა გოგიშვილის 2016 წლის 4 ნოემბრის N1/3110 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ“ რექტორის 2016 წლის 30 სექტემბრის N374-ს ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის დანართის მე-2.ა პუნქტს დაემატოს 39-ე ქვეპუნქტი:

N	გვარი,სახელი	სემესტრი	საშუალო შეფასება
39	გიგუაშვილი გიორგი	5	76

2. შეტანილ იქნეს ცვლილება „სტუდენტებისთვის, რომლებიც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში, გათავისუფლებულები იყვნენ სწავლის საფასურის გადახდისგან, მაგრამ 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, 2016 -2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ“ რექტორის 2016 წლის 30 სექტემბრის N375-ს ბრძანებაში და ძალადაკარგულად გამოცხადდეს

ბრძანების პირველი პუნქტის დანართის მე-2.ა პუნქტის მე-14 ქვეპუნქტი - ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **გიორგი გიგუაშვილისთვის** სწავლის სემესტრული საფასურის დაკისრების თაობაზე.

3. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისათვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე